ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	
პროგრამის ხელმძღვანელი	თამარ ძველაია - I კატეგორიის მოწვეული სპეციალისტი. e-mail: tamardzvelaia85@gmail.com მობ: 591 920 531 ხათუნა მანაგაძე - პროფესორი. e-mail: khatunamanagadze@gmail.com მობ: 593 311 400

მისაღები გამოცდის ფორმა, შეფასების კრიტერიუმები და საგამოცდო საკითხები
საგანი: მუსიკა

არგუმენტირებული ესსე (საგამოცდო თემის სათაური და ესსეს წერის კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის საიტზე www.batu.edu.ge - გამოცდამდე რამდენიმე დღით ადრე).

საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შემდეგ, მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით. გამოცდაზე აპლიკანტი წარმოადგენს არგუმენტირებულ ესსეს, სადაც უნდა გამოავლინოს მოცემულ ქეისზე საკუთარი ხედვა, კრიტერიუმების გათვალისწინებით.

N	*I კრიტერიუმი: დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	ქულა
1	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	2
2	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული	1
3	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული	0
	II კრიტერიუმი: ნაშრომის აგება	
1	ესსეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანმიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს , წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
2	ესსეს სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები მთლიანობაში თანმიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები ძირითადად არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, მაგრამ აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი: ანდა აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, მაგრამ ესსეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, რიგ შემთხვევაში დარღვეულია მონაკვეთების თანმიმდევრულობა, წარმოდგენილი მაგალითები ნაწილობრივ არღვევს ტექსტის მთლიანობას.	1
3	ესსეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრის შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და /ან აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი.	0
	III კრიტერიუმი. პრობლემის გააზრება	
1	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, ინფორმირებულობა და ერუდიცია	2
2	ნაშრომში გამოვლინდა განსხილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია	1
3	აპლიკანტი ვერ ერკვევა განსახილველ სახითხთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში	0

	IV კრიტერიუმი. მსჯელობის დასაბუთება	
1	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია მაგალითებით	2
2	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთვევებში არასაკმარისია და/ან არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით	1
3	მსჯელობა გაუმართავია, არ ფლობს საჭირო ცოდნას	0
	V კრიტერიუმი. ლექსიკა და სტილი	
1	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზები.	2
2	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	1
3	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	0

არგუმენტირებული ესსეს შეფასების კრიტერიუმები:
ნაშრომი უნდა აღემატებოდეს 120 სიტყვას.
მაქსიმალური შეფასება: 10 ქულა
გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ აპლიკანტი დააგროვებს 6-10 ქულას.
ჩაჭრილად ჩაითვლება აპლიკანტი, რომელიც დააგროვებს 0-5 ქულას.